დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2025 წლის 26 ივნისი

ქ. დმანისი

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/01/2018; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.156.016301) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის ,,საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები" ცხრილი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №1

საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

საკრებულოს აპარატი				
№	თანამდებობათა დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	--	1	3796
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2482
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2190

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება				
1	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	II	1	2920
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2190

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 01 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**